



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N29 2017 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

„დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/02/2015, 340170000.10.003.018441) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„3. პროფილის შენარჩუნებისთვის ბენეფიციარი ვალდებულია, სანერგე მეურნეობის შექმნიდან 3 წლის განმავლობაში აწარმოოს დანართი №1-ით განსაზღვრული მრავალწლიანი კულტურებიდან ერთი ან



რამდენიმე სახეობის ნერგი, არანაკლებ „თანადაფინანსების კომიტეტის“
მიერ დადგენილი რაოდენობის შესაბამისად.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი